მინდია ოკუჯავა[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.39

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ქვეყნებში

აბსტრაქტი. თანამედროვე ევროპული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. როგორც არაერთი უცხოელი ავტორი აღნიშნავს ევროპული ქვეყნების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტეგრაციამ განაპირობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა, არამარტო ევროპის კავშირის მმართველი ორგანოებისათვის გადანაწილება, არამედ გარკვეული დატვირთვა მიანიჭა ევროპის კავშირში გაერთიანებული ქვეყნების რეგიონალურ თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მართალია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოწყობის სისტემა ამ ქვეყნებში ძალზედ მრავალფეროვანია თუმცა, წინამდებარე სტატიის ფარგლებში ჩვენ შედარებით სამართლებრივი მიდგომების საფუძველზე განვიხილავთ იმ საერთო ნიშან-თვისებებს, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენს განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ძირითად ტენდენციებს. აღნიშნულ ტენდენციათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების მეშვეობით მოქალაქეთა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი მმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადმინისტრაციული სისტემები.

---

[1] **მინდია ოკუჯავა** - სამართლის დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Mindia Okujava[2]
Sokhumi State University

Development trends of local self-government in modern countries

Abstract. Self-governance institutions of modern European countries have attracted special interest for the last decades. As several foreign authors have me-ntioned, political and economic integration of European countries has led not only to sharing of essential decision-making powers with EU governance bodies but has also attached importance to the regional and local self-governance bodies of EU member states.
Despite the wide variety of the self-governance systems in those countries, in the current paper, we will review the common features based on the comparative legal approach, which stress the main trends related to the operation of local self-governance bodies.
Among those trends, the aspects of ensuring the participation of citizens in political decision-making through local self-governance are of special importance.
keywords: Local governance, local self-government, administrative systems.

ძირითადი კვლევა. თანამედროვე დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში გარკვეული საკითხების სამართლებრივი რეგულირება და სერვისების მიწოდება უმეტეს შემთხვევაში დეცენტრალიზებულ და უფრო კონკრეტულად, ადგილობრივ დონეზე ხდება. პოლიტიკური და დემოკრატიული პერსპექტივიდან გამომდინარე, ეროვნული მმართველობის სისტემებში ადგილობრივი თვითმმართველობები მნიშვნელოვანი ლეგიტიმაციის ფუნქციას ასრულებენ, რაც განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მოქალაქეებს აძლევენ შესაძლებლობას, უშუალოდ ჩაერთონ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ მონაწილეობას უზრუნველყოფენ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას. შესაბამისად, როგორც ამ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ცხადჰყოფს „მოქალაქეების ნდობა ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ორგანოების მიმართ გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე პარლამენტებისა და მთავრობებისადმი“ (კულმანი, ვოლმანი, 2014: 26).

ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობები ევროპულ ქვეყნებში კონსტიტუციური და დემოკრატიული მმართველობის ფუნქციონირებისა-

[2] **Mindia Okujava** - Doctor of Law, Associate Professor of Sokhumi State University.

თვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. რაც უშუალოდ გამომდინარეობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრეამბულაში გაჟღერებული ძირითადი პრინციპებიდან, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია და რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა (ევროპული ქარტია 1985: 1).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციურ სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს ახალი ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღების საფუძველზე. ახალი ორგანული კანონით ნათლად გაიმიჯნა უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, არჩევითი გახდა ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის - მერის/-გამგებლის თანამდებობა, ასევე, კოდექსის გარდამავალი დებულებებით დაიგეგმა რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით. თუმცა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეების მიუხედავად ზოგიერთი ავტორის აზრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კონსტიტუციური სისტემის გამოწვევად გარკვეულწილად რჩება თვითმმართველობების ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობებად და მთავრობაზე ადმინისტრაციულად, პოლიტიკურად და ფინანსურად დამოკიდებულ ორგანოებად აღქმის პრობლემა. განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ ნაცვლად საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვისა თვითმმართველობები კვლავინდებურად არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ ე. წ. „პარტიული აქტივის“ მობილიზების ფუნქციებს ითავსებს (ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, კონჯარია, 2016: 26).

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რომ თვითმმართველობა საქართველოში ჯერაც სუსტად არის განვითარებული და საჭიროებს მნიშვნელოვან მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილებისა და იქ არსებული სიახლეების გაზიარებას, ახალი ინსტიტუციების დანერგვასა და ადგილობრივ რეალობასთან ადაპტირებას.

სწორედ ამ საჭიროებებიდან გამომდინარე აქტუალურია ამ მიმართულებით არსებული უახლესი შედარებითი სამართლებრივი კვლევების საფუძველზე დაგროვილი ცოდნის გაზიარება. თუმცა, ამ მიზნებით დასავლელ ავტორთა შრომების შესწავლისას მნიშვნელოვანია იმთავითვე განვსაზღვროთ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები. კერძოდ, განვსაზღვროთ ზემოაღნიშნულ კვლევებში ტერმინთა - „ადგილობრივი თვითმმართველობა“ და „ადგილობრივი მმართველობა“ ურთიერთკავშირის საკითხი.

ჩვეულებრივ პოლიტიკურ და სამართლებრივ ლიტერატურაში ტერმინში „ადგილობრივ მმართველობა“ მოიაზრებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილებზე დანიშნულ მართვის ორგანოებს და ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლობებს ადგილებზე. ამისგან განსხვავებით ადგილობრივი თვითმმართველობა ყალიბდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნების გზით ჩამოყალიბებული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. ამ თვალსაზრისით ეს ცნებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ გარემოებებს აღნიშნავს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივი მენეჯმენტი დღეისათვის ძალზედ რთულ და საკმაოდ მოქნილ სისტემას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს, როგორც ადგილზე სახელმწიფოებრივი მმართველობის ელემენტებს, ისე, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ანგლო-საქსონურ ქვეყნებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არ არსებობს ცენტრალური ადმინისტრაციების წარმომადგენლობები, ანუ არ მოქმედებს ადგილობრივი მმართველობის სისტემა, მაგრამ, ადგილობრივ მენეჯმენტთან მიმართებაში, როგორც კანონმდებლობაში, ისე ცალკეულ შრომებში გამოიყენება ტერმინი ადგილობრივი მმართველობა (Vodyanitskaya, 2017: 3).

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ ევროპულ და სხვა უცხოურ ლიტერატურაში ტერმინი „ადგილობრივი მმართველობა“ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ზოგადად ადგილებზე საჯარო ხელისუფლების

ორგანიზაციის აღსანიშნავად. აღნიშნულის გათვალისწინებით განვიხილავთ შედარებითი ადგილობრივი მმართველობის შესახებ უახლესი კვლევების მონაცემებს საბინე კულმანის და ჰელმუტ ვოლმანის ნაშრომის - „შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში: ადმინისტრაციული სისტემები და რეფორმები ევროპაში“ ქართულენოვანი გამოცემიდან, რომლის თანახმად ადგილობრივი მმართველობის სისტემების შედარებითი კვლევა სამ მიმართულებას მოიცავს:

- ✓ ფუნქციური პროფილი – განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების ფარგლებს, რაც გულისხმობს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფუნქციების გადანაწილებას/-გაერთიანებასა (გაყოფისა და გაერთიანების მოდელი; დუალისტური და მონოლითური ფუნქციების მოდელი) და ფინანსურ ავტონომიას;
- ✓ ტერიტორიული პროფილი – მოიცავს ტერიტორიულ სტრუქტურასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს (ჩრდილოევროპული და სამხრეთევროპული მოდელი);
- ✓ პოლიტიკური პროფილი – იკვლევს ადგილობრივი დემოკრატიის სტრუქტურას (წარმომადგენლობა და პირდაპირი დემოკრატია), ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობას (მონისტური და დუალისტური) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურას (პირდაპირი და არაპირდაპირი (კულმანი, ვოლმანი, 2014: 26).

საბინე კულმანის და ჰელმუტ ვოლმანის თანახმად, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ვერტიკალური ურთიერთობის მიხედვით, ადგილობრივი მმართველობის ორი სისტემა შეგვიძლია განვასხვაოთ: პირველი გულისხმობს, რომ ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა თავიანთ პასუხისმგებლობებს ერთმანეთისაგან განცალკევებით და დამოუკიდებლად ახორციელებენ; ხოლო, მეორე სისტემის თანახმად, მმართველობის დონეები ერთობლივად მოქმედებენ და სახელმწიფო და ადგილობრივი პასუხისმგებლობების ნაერთს ქმნიან. პირველ მმართველობით სისტემას ეწოდება „განცალკევების მოდელი“ და ტრადიციულად ახასიათებს ბრიტანულ (და შვედურ) მმართველობის კულტურას. განცალკევების მოდელი პირდაპირ კავშირშია ადგილობრივი მმართ-

ველობის მონოლითურ ან ერთიან კონცეფციასთან, რომლის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის დონისათვის კონკრეტული ამოცანების გადაცემის შემდეგ ეს საკითხები სრულად ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობა ხდება (კულმანი, ვოლმანი, 2014: 27).

ამასთანავე, შესაძლებელია მესამე სახის სისტემის გამოყოფაც, კერძოდ კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის უფრო დამახასიათებელია შერეული სისტემები, ანუ „მმართველობის ინტეგრირებული მოდელები“ ამ მოდელების თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანები განცალკევებით არ ხორციელდება, არამედ ინტეგრირებულია ადმინისტრირების პროცესში. ეს მოდელები ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების დუალისტურ კონცეფციას ეფუძნებიან, რომლის თანახმად ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს როგორც საკუთარ უფლებამოსილებებს,ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს მათთვის დელეგირების შემთხვევაში. შერეული სისტემა კონცეპტუალურად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: პირველია ე. წ. „სახელმწიფოზე ორიენტირებული ინტეგრირების მოდელი“, რომელშიც ცენტრალური ხელისუფლება საკუთარ პასუხისმგებლობასთან ერთად დამატებით ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს ახორციელებს და, მეორე, „ადგილობრივ თვითმმართველობაზე ორიენტირებული ინტეგრირების მოდელი“, რომელშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ასრულებენ „ორმაგ“ ფუნქციას – საკუთარი საქმიანობის პარალელურად, სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებსაც ახორციელებენ. გარდა განცალკევებისა და ინტეგრირების/შერეულ სისტემებსა და მონისტურ და დუალისტურ მოდელებს შორის განსხვავებისა, ადგილობრივი მმართველობის ფუნქციების ტიპოლოგია შესაძლებელია პასუხისმგებლობების სფეროებსა და შინაარსს, ასევე ადგილობრივი ორგანოების ავტონომიის ხარისხს (ადგილობრივ დისკრეციას) დაეფუძნოს (კულმანი, ვოლმანი, 2014: 28).

ფუნქციურ პროფილთან მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ დონეზე ტერიტორიული სტრუქტურა, რომელიც ადგილობრივი მმართველობის სიცოცხლისუნარიანობისა და ქმედუნარიანობისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური პირობაა. ტერიტორიული სტრუქტურის განხილვისას, ერთი მხრივ, შეგვიძლია, გამოვყოთ სამხრეთ ევროპული მოდელი, რომელშიც მცირე ზომის მუნიციპალიტეტები არსებობს და ტერიტორიული რეფორმა

არ არის გატარებული. ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ ევროპული მოდელი, რომელიც ტერიტორიულად (და დემოგრაფიულად) დიდი ზომის მუნიციპალიტეტებით გამოირჩევა, რაც ინტენსიური ტერიტორიული რეფორმების შედეგად განისაზღვრა. მაგალითად, სამხრეთ ევროპული მოდელი კონტინენტური ევროპის ნაპოლეონური ტრადიციის მქონე ქვეყნებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი), როდესაც დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიის ქვეყნები ჩრდილოეთ ევროპული მოდელის კარგი მაგალითებია; ხოლო კონტინენტური ევროპის ფედერალური მოდელის მქონე ქვეყნებს სამხრეთ ევროპული ტიპის ადგილობრივი სტრუქტურა აქვთ (შვეიცარია, ავსტრია, გერმანია) (კულმანი, ვოლმანი, 2014: 30).

ადგილობრივი მმართველობის პოლიტიკური პროფილის განსაზღვრისთვის ისეთი საკითხები უნდა განვიხილოთ, როგორებიცაა: ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა უფლებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილების მიღების (შიდა) ინსტიტუციური სისტემა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის სტრუქტურა. ეს უკანასკნელი ადგილობრივ დონეზე აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების თავისებურებებს განსაზღვრავს (კულმანი, ვოლმანი, 2014: 31).

პირველ კრიტერიუმთან მიმართებით წარმომადგენლობით დემოკრატიაზე დაფუძნებული ინსტიტუტების მქონე ადგილობრივი მმართველობის სისტემა (ტრადიციულად, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი 1974 წლის შემდეგ, გერმანია 1990 წლამდე და საფრანგეთი) უნდა განვასხვაოთ ისეთი მმართველობის სისტემისგან, რომელსაც პირდაპირი დემოკრატიის ძლიერი ელემენტები აქვს, როგორიცაა, მაგალითად, სავალდებულო ძალის მქონე ადგილობრივი რეფერენდუმი (შვეიცარია, გერმანიის მიწები 1990 წლის შემდეგ, უნგრეთი, იტალია, შვედეთი 1974 წლამდე, ავსტრია, ფინეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა). აღნიშნულის გათვალისწინებით, მონისტური და დუალისტური სისტემები შეგვიძლია განვასხვაოთ (კულმანი, ვოლმანი, 2014: 32).

მონისტურ სისტემებში გადაწყვეტილების მიღების ყველა სახის უფლებამოსილება, დისკრეციული უფლებამოსილებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის კონტროლის ჩათვლით, არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოებს, ან, უფრო ზუსტად, კონკრეტულ სფეროებზე პასუხისმგებელ წარმომადგენლობითი ორგანოების კომიტეტებს აქვთ. ამ მიზეზით, შედა-

რებითი პერსპექტივიდან გამომდინარე, მმართველობის კომიტეტური სისტემის ტერმინი გამოიყენება (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, დანია). ამ სისტემაში „ძლიერი მერის“ ინსტიტუტი არ არსებობს და იგი შეიძლება, პოლიტიკური და აღმასრულებელი უფლებამოსილების ნაკლებობის ან ადმინისტრაციის სექტორული ფრაგმენტაციის გამო გააკრიტიკონ. ამისგან განსხვავებით დუალისტურ სისტემებში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გადანაწილებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერს/მერსა და წარმომადგენლობით ორგანოს შორის, სადაც თითოეული მათგანი გადაწყვეტილების მიღების საკუთარი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, უნგრეთი, ესპანეთი პორტუგალია, საბერძნეთი, პოლონეთი). მერის ინსტიტუტი ზოგიერთ ქვეყანაში უფრო მეტად არის გაძლიერებული პირდაპირი არჩევნების გზით (გერმანია, იტალია, უნგრეთი) (კულმანი, ვოლმანი, 2014: 31).

ამდენად, განვიხილეთ რა თანამედროვე ქვეყნებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობების სისტემები შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში საქართველოში დანერგილ იქნა და მოქმედებდა ზემოთ განხილული თვითმმართველობის არაერთი მოდელი, თუნდაც გარკვეული სახეცვლილებით, მაგრამ ნათელია, რომ საქართველოში ამ დრომდე თვითმმართველობის ვერცერთმა სისტემამ ვერ უზრუნველყო შეესრულებინა ის საკვანძო როლი, რაც გამოიხატება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა რეგულირებაში რაღაც დონეზით ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე კონსტიტუციური სისტემის ფუნქციონირებისათვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული საზოგადოება დღემდე ვერ ახერხებს მისი ხასიათის, კულტურისა და მოთხოვნების შესატყვისი სისტემის დაფუძნებას ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი საკითხების მოსაწესრიგებლად. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სათანადო ისტორიული გამოცდილების არ არსებობაში უნდა ვეძიოთ. სამწუხაროდ გასული მე-20 საუკუნისათვის, როდესაც დასავლურ საზოგადოებებში წინა საუკუნეებში ჩასახული და განვითარებული ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტები იწყებს მეტ-ნაკლებად შემდგარი სისტემების სახით ფუნქციონირებას და ხდება კონსტიტუციური სისტემების არათუ განუყოფელი, არამედ აღნიშნული სისტემების დემოკრატიულ საწყისებზე ფუნქციონირების აუცილებელ ერთ-ერთი მექანიზმი, საქართველოს მოუწია საბჭოთა სისტემის პირობებში არსებობა. საბჭოთა სისტემის ძირითადი თავისებურება კი როგორც

მოგეხსენებათ ეფუძნება ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპს, ანუ პრინციპს, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განაწილებას, როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ დონეზე. ამდენად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის პიროებში ქართულმა საზოგადოებამ შეძლო ხელისუფლებათა განაწილების პრინციპზე აგებული სისტემების დანერგვა თუმცა, მრავალი საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებრიობის გარეშე არსებობის გამო არ გააჩნია სათანადო გამოცდილება ამ სისტემების ეფექ-ტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ეს გარემოება განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩნდება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებული გამოწვევების გადასალახად ვფიქრობთ, რომ თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფორმებით ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტების ფარგლებში არსებული სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების განაწილება-ხარჯვითი მიმართულებების დაგეგმვაში და მის მონიტორინგში ადგილობრივი მოსახლეობის უფრო ფართო ჩართულობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ხასიათის მოსაკრებლების განსაზღვრასა და დადგენის პროცესში. მთლიანობაში ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არამარტო პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, არამედ, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა თვითმმართველობის მეშვეობით უფრო წარმატებულად გადაჭრის შესაძლებლობაში დარწმუნებულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლოსაბერიძე, კანდელაკი, აბულაძე, კონჯარია (2016): დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია, ადგილობრივი თვითმმართველობა, თბილისი, 2016;

ევროპული ქარტია (1985): ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X.1985. საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2005 წლის 1 აპრილიდან, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის N 515 – II ს დადგენილებით. ხელმისაწვდომია: https://smr.gov.ge/uploads/prev/evropuli_-q_354b65fe.pdf. ბოლო შემოწმება: 13/01/2022.

კულმანი, ვოლმანი (2014): საბინე კულმანი და ელმუტ ვოლმანი, შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში: ადმინისტრაციული სისტემები და რეფორმები ევროპაში, 2014, მთარგმნელები: ნინო ცუხიშვილი გვანცა ბესელია თბილისი, 2019;

Vodyanitskaya (2017): Elena Vodyanitskaya. Local Government, Max Planck Encyclopedia of Comparative Constitutional Law. https://mgimo.ru/upload/iblock/e67/MPECCOL_Local%20Government.pdf ბოლო ნახვა 13/01/2022

Oxford Constitutions (http://oxcon.ouplaw.com). (c) Oxford University Press, 2015. All Rights Reserved. Subscriber: Elena Vodyanitskaya; date: 13 October 2017. წყარო: https://mgimo.ru/upload/iblock/e67/MPECCOL_Local-%20Government.pdf. ბოლო შემოწმება: 13/01/2022.